საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 302

18/12/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამარტივებული კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 27 - ე და 28 -ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. **გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამარტივებული** კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

2. გამარტივებულ კონკურში მონაწილეთათვის დადგინდეს შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

ა)უმაღლესი განათლება

ბ) ქართული ენის კარგი ცნობა,

გ)სამუშაო გამოცდილება არანაკლებ ერთი წლისა

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Internet Explorer–ის კარგ დონეზე ცოდნა;

3.გამოცხადებული ვაკანტური პოზიციის სამუშაო ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებას;
ბ) ორგანიზებას უწევს საკრებულოს თავმჯდომარის შეხვედრებს მოსახლეობასთან;
გ)ორგანიზებას უწევს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დაგეგმილი თათბირების მოწვევას, მიცემულ დავალებათა აღრიცხვას და შესრულების კონტროლს ;
დ) ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით სხვა უფლებამსილებებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

4.საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის შრომის ანაზღაურებაა 900 ლარი

5. გამარტივებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვეფგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით ელექტრონულად კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება,

ბ) დიპლომისა და პირადობის მოწმობის ასლები,

გ) სამუშაო გამოცდილების დამადასურებელი დოკუმენტი

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისამართია ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15.

7. გამარტივებული კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

ა)კანდიდატების მიერ წარდგენილი განცხადების გადარჩევა

ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.

8. ვაკანტური თანამდებობის თაობაზე განაცხადის მომზადება და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით გამოქვეყნება უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა.

9.. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე